თავი II

2014 წლის იანვარ-ივნისის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

წინასწარი შეფასებით, 2014 წლის იანვარ-ივნისში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 6.0% შეადგინა. მათ შორის, პირველ კვარტალში 7.1%, ხოლო მეორე კვარტალში 5.1%. მეორე კვარტლის დეტალური მონაცემების გამოქვეყნებამდე გამოყენებულია პირველი კვარტლის მონაცემები.

2014 წლის პირველ კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მშპ 7.1%-ით გაიზარდა და ნომინალურ გამოხატულებაში 6.3 მილიარდი ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, მშპ-ის ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის და ტრანსპორტის დარგებმა. ამ დარგებმა განაპირობეს მშპ-ის 4.4 პროცენტული პუნქტით ზრდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო ზრდის 61.7%-ს შეადგენს.

2014 წლის პირველ კვარტალში, 2013 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობის ყველაზე მეტი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის (16.7%), მშენებლობის, (14.0%), ვაჭრობის (11.1%), ოპერაციები უძრავი ქონებით (10.1%) და ტრანსპორტის (9.2%) დარგებში.

ფასები და გაცვლითი კურსი

2014 წლის ივნისში 2013 წლის ივნისთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 2.0%-ით გაიზარდა. 2013 წლის შესაბამის პერიოდში სამომხმარებლო ფასები 0.2%-ით გაიზარდა.

2014 წლის ივნისში საშუალოწლიურმა ინფლაციამ 1.6% შეადგინა. წინა წლის შესაბამის პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი -0.8% იყო.

12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. ჯანმრთელობის დაცვამ სამომხმარებლო ფასები 0.6 პროცენტით, ხოლო ალკოჰოლური სასმელები და თამბაქომ და ტრანსპორტმა 0.4-0.4 პროცენტით გაზარდა.

2014 წლის იანვარ-ივნისში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ უმნიშვნელოდ გაუფასურდა. 2014 წლის ივნისში 2013 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.3%-ით გაუფასურდა და 1.769 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე.

მონეტარული მაჩვენებლები

2014 წლის ივნისში 2013 წლის ივნისთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 21.3%-ით გაიზარდა და 10 130.9 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 19.7%-ით და 5 208.4 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2014 წლის იანვარ-ივნისში დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა 4.8%-ით, მათ შორის ეროვნულ ვალუტაში შემცირდა 3.6%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაიზარდა 11.4%-ით.

2014 წლის ივნისში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, დოლარიზაციის კოეფიციენტი 3.5%-ული პუნქტით გაიზარდა და 59.2%-ს გაუტოლდა.

საგარეო სექტორი

2014 წლის იანვარ-ივნისის განმავლობაში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16%-ით გაიზარდა. აქედან, საქონლის ექსპორტი 15%-ით, ხოლო საქონლის იმპორტი 16%-ით გაიზარდა.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2014 წლის 6 თვის მონაცემებით, მთლიანი საქონელბრუნვის 17.2%-ს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი (10.7%), ჩინეთი (7.0%), რუსეთი (6.7%) და ა.შ.

ექსპორტში 20.4%-ით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე სომხეთი 11.0%, მესამეზე რუსეთი 9.4%, მეოთხე და მეხუთე პოზიციაზე იმყოფებიან თურქეთი და აშშ 7.9%-7.9%-ით და ა.შ.

იმპორტში პირველი ადგილი 20.5%-ით თურქეთს უჭირავს. შემდეგ მოდიან ჩინეთი (8.7%), აზერბაიჯანი (7.3%), უკრაინა (6.1%), და ა.შ.

რაც შეეხება ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურას, ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნება. საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 20.4%-ით მსუბუქი ავტომობილებია, შემდეგ პოზიციებზე იმყოფებიან ფეროშენადნობები (11.3%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (9.7%), ყურძნის ნატურალური ღვინოები (6.0%), აზოტოვანი სასუქები (5.2%) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში კი პირველ ადგილზე 10.4%-ით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები (8.2%), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (4.5%), სამკურნალო საშუალებები (3.7%) და ა.შ.

ინფორმაცია საქართველოს 2014 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების შესახებ

2014 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 664 362.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 713 724. 9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.3%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 327 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 409 346.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102.5%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 100 121.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 47 703.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 47.6%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 237 241.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 256 675.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.2%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 73 518.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (43 100.0 ათასი ლარი) 170.6%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 33 282.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (38 500.0 ათასი ლარი) 86.4%-ია.

2014 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ნაერთი ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**3,664,362.0**	**3,713,724.9**	**49,362.9**	**101.3**
გადასახადები	**3,327,000.0**	**3,409,346.2**	**82,346.2**	**102.5**
საშემოსავლო გადასახადი	818,700.0	865,801.8	47,101.8	105.8
მოგების გადასახადი	460,800.0	423,211.6	-37,588.4	91.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,487,700.0	1,555,970.5	68,270.5	104.6
აქციზი	338,600.0	360,877.8	22,277.8	106.6
იმპორტის გადასახადი	48,200.0	48,290.0	90.0	100.2
ქონების გადასახადი	161,400.0	143,485.2	-17,914.8	88.9
სხვა გადასახადი	11,600.0	11,709.4	109.4	100.9
გრანტები	**100,121.0**	**47,703.7**	**-52,417.3**	**47.6**
სხვა შემოსავლები	**237,241.0**	**256,675.0**	**19,434.0**	**108.2**

ინფორმაცია საქართველოს 2014 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების შესახებ

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 364 201.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 376 431.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4%.

2014 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**3,364,201.0**	**3,376,431.2**	**12,230.2**	**100.4**
გადასახადები	3,103,800.0	3,202,910.9	99,110.9	103.2
გრანტები	100,121.0	47,093.4	-53,027.6	47.0
სხვა შემოსავლები	160,280.0	126,426.9	-33,853.1	78.9

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 103 800.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 202 910.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.2%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 802 885.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (756 900.0 ათასი ლარი) 106.1%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 423 211.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (460 800.0 ათასი ლარი) 91.8%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 1 555 970.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 487 700.0 ათასი ლარი) 104.6%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 360 877.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (338 600.0 ათასი ლარი) 106.6%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 48 290.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (48 200.0 ათასი ლარი) 100 2%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 11 676.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11 600.0 ათასი ლარი) 100.7%-ია.

2014 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	**სახელმწიფო ბიუჯეტი**			
	გეგმა	**ფაქტი**	**+/-**	**%**
გადასახადები	**3,103,800.0**	**3,202,910.9**	**99,110.9**	**103.2**
საშემოსავლო გადასახადი	756,900.0	802,885.0	45,985.0	106.1
მოგების გადასახადი	460,800.0	423,211.6	-37,588.4	91.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,487,700.0	1,555,970.5	68,270.5	104.6
აქციზი	338,600.0	360,877.8	22,277.8	106.6
იმპორტის გადასახადი	48,200.0	48,290.0	90.0	100.2
სხვა გადასახადი	11,600.0	11,676.1	76.1	100.7

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 100 121.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 47 093.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 47.0%.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გრანტების ჩამორიცხვა დამოკიდებულია კონკრეტული ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთაც ახორციელებენ სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებები და რიგ შემთხვევებში უშუალოდ დონორები ორგანიზაციები. პროექტების განხორციელების შესაბამისად, ეტაპობრივად მოხდება მისაღები გრანტის დარჩენილი ნაწილის ჩამორიცხვა.

დასახელება	**იანვარი - ივნისი**
გრანტები	**47,093.4**
EC	113.4
SIDA	270.7
CNF	648.2
IFAD	77.5
KfW	2,972.0
MCC	3,031.2
USAID	39,980.5

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 160 280.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 126 426.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 78.9%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 11 997.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (18 250.0 ათასი ლარი) 65.7%-ია. აქედან,
  - **პროცენტები** - 8 995.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 000.0 ათასი ლარი) 69.2%-ს შეადგენს.
  - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 82.4 ათასი ლარი.
  - **რენტის** სახით მობილიზებულია 2 919.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 250.0 ათასი ლარი) 55.6%-ია.

- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 28 003.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (29 830.0 ათასი ლარი) 93.9%-ია. აქედან,
  - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით -** 26 479.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (29 000.0 ათასი ლარი) 91.3%-ია. მათ შორის:
    - სალიცენზიო მოსაკრებელი - 803.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (330.0 ათასი ლარი) 243.6%-ია;
    - სანებართვო მოსაკრებელი - 16 535.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20 100.0 ათასი ლარი) 82.3%-ია.
    - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 573.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (440.0 ათასი ლარი) 130.3 %-ია;
    - სახელმწიფო ბაჟი -7 397.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 700.0 ათასი ლარი) 110.4%-ია;
    - საკონსულო მოსაკრებელი - 628.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (740.0 ათასი ლარი) 85.0%-ია;
    - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 420.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (450.0 ათასი ლარი) 93.3%-ია.
    - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 120.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (240.0 ათასი ლარი) 50.3%-ია.
  - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან -** 1 524.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (830.0 ათასი ლარი) 183.6%-ია. მათ შორის:
    - საქონლის რეალიზაციიდან - 171.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (90.0 ათასი ლარი) 190.7%-ია;
    - მომსახურების გაწევიდან - 1 257.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (740.0 ათასი ლარი) 170.0%-ია;
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 33 336.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (40 000.0 ათასი ლარი) 83.3%-ია.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 53 073,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (72 200.0 ათასი ლარი) 73.5%-ია.

2014 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	**160,280.0**	**126,426.9**	**-33,853.1**	**78.9**
შემოსავლები საკუთრებიდან	**18,250.0**	**11,997.5**	**-6,252.5**	**65.7**
პროცენტები	13,000.0	8,995.6	-4,004.4	69.2
დივიდენდები		82.4	82.4	
რენტა	5,250.0	2,919.5	-2,330.5	55.6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**29,830.0**	**28,003.2**	**-1,826.8**	**93.9**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**29,000.0**	**26,479.2**	**-2,520.8**	**91.3**
სალიცენზიო მოსაკრებლები	330.0	803.7	473.7	243.6
სანებართვო მოსაკრებლები	20,100.0	16,535.4	-3,564.6	82.3
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	440.0	573.4	133.4	130.3
სახელმწიფო ბაჟი	6,700.0	7,397.3	697.3	110.4
საკონსულო მოსაკრებელი	740.0	628.7	-111.3	85.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	450.0	420.0	-30.0	93.3
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	240.0	120.7	-119.3	50.3
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**830.0**	**1,524.0**	**694.0**	**183.6**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	90.0	171.6	81.6	190.7
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	740.0	1,257.9	517.9	170.0
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		94.5	94.5	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**40,000.0**	**33,336.1**	**-6,663.9**	**83.3**
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		**16.1**	**16.1**	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები*	**72,200.0**	**53,073.9**	**-19,126.1**	**73.5**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2² პუნქტის თანახმად, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების ფარგლებში დაგეგმილი იყო 50.0 მლნ ლარის მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში, ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ანგარიშზე არსებული ნაშთიდან. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 მარტის №381 განკარგულების საფუძველზე სახემწიფო ბიუჯეტში მიიმართა 32.0 მლნ ლარი (სსიპ - შემოსავლების სამსახური 15 მლნ ლარი; სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო - 14 მლნ ლარი; სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო - 2 მლნ ლარი და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო - 1 მლნ ლარი)

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 51 138.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (36 000.0 ათასი ლარი) 142.1%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 32 180.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (38 500.0 ათასი ლარი) 83.6%-ია.

გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხულია 11 928.6 ათასი ლარი, საიდანაც 11 772.7 ათასი ლარი წარმოადგენს წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებას, ხოლო 155.8 ათასი ლარი – გაურკვეველ თანხებს, რომლებიც დაზუსტების შემდგომ მიიმართება დანიშნულებისამებრ.